

შპს ინტრაკო ნუტრიშენი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები.....	7
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
6. მარაგები	12
7. ძირითადი საშუალებები.....	12
8. სავაჭრო ვალდებულებები	13
9. საწესდებო კაპიტალი.....	13
10. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	13
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	14
12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-18
		(გადაანგარიშებული)	(გადაანგარიშებული)	
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	618,927	304,143	121,655
სავაჭრო მოთხოვნები		427,688	354,716	678,706
გაცემული ავანსები		26,793	182,407	-
მარაგები	6	1,641,912	1,281,586	544,885
სხვა მიმდინარე აქტივები		59,733	114,096	5,606
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,775,053	2,236,948	1,350,852
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	56,774	23,323	3,669
არამატერიალური აქტივები		2,076	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		58,850	23,323	3,669
სულ აქტივები		2,833,903	2,260,271	1,354,521
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	603,860	827,364	427,812
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		10,070	6,121	912
მიღებული ავანსები		12,208	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	25,645
სულ ვალდებულებები		626,138	833,485	454,369
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	32,714	47,377	53,667
გაუნაწილებელი მოგება		2,175,051	1,379,409	846,485
სულ საკუთარი კაპიტალი		2,207,765	1,426,786	900,152
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,833,903	2,260,271	1,354,521

დირექტორი



გიორგი დალაქიშვილი


მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	6,469,222	4,120,340
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	-5,418,483	-3,392,008
საერთო მოგება		1,050,739	728,332
ხელფასები და სხვა სარგებელი		-93,830	-76,379
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		-63,594	-19,742
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		-8,492	-1,601
საოპერაციო მოგება		884,823	630,610
სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი		-79,002	-34,528
მოგება დაბეგვრამდე		805,821	596,082
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		805,821	596,082

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი		53,667	846,485	900,152
კაპიტალის შემცირება	9	-6,290	-	-6,290
დივიდენდი			-63,158	-63,158
წმინდა მოგება		-	596,082	596,082
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი		47,377	1,379,409	1,426,786
კაპიტალის შემცირება	9	-14,663	-	-14,663
დივიდენდი			-10,179	-10,179
წმინდა მოგება		-	805,821	805,821
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი		32,714	2,175,051	2,207,765

დირექტორი



გიორგი დალაქიშვილი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინტრაკო ნუტრიშენი დაფუძნდა 2016 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: მცხეთის რაიონი, ს. მუხრანი, 29-ე, II ჩიხი, №2. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 436039519. კომპანიის მფლობელია შემდეგი ფიზიკური პირი:

გიორგი დალაქიშვილი (ს/კ 31001040497) – 100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი, თესლებით და ცხოველების საკვებით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - გიორგი დალაქიშვილი (ს/კ 31001040497).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

2020 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	304,204	121,716
სავაჭრო მოთხოვნები	354,716	678,706
მარაგები	1,281,585	544,886
სხვა მიმდინარე აქტივები	200,321	5,623
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,140,826	1,350,931
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	23,323	3,669
სულ გრძელვადიანი აქტივები	23,323	3,669
მთლიანი აქტივები	2,164,149	1,354,600
ვალდებულებები და კაპიტალი		
სავაჭრო ვალდებულებები	828,264	428,168
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	6,138	912
საგადასახადო ვალდებულებები	28,337	150,181
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	862,739	579,261
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	47,377	53,667
გაუნაწილებელი მოგება	1,254,033	721,672
სულ საკუთარი კაპიტალი	1,301,410	775,339
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	2,164,149	1,354,600

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18
შემოსავალი რეალიზაციიდან	4,120,339	3,715,967
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,384,800)	(3,210,037)
საერთო მოგება	735,539	505,930
ხელფასები და სხვა სარგებელი	(41,165)	(45,925)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(62,567)	(43,560)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(1,601)	(866)
საოპერაციო მოგება	630,206	415,579
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(34,687)	(28,018)
მოგება დაბეგვრამდე	595,519	387,561
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	595,519	387,561

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი	185,465	334,111	519,576
კაპიტალის შემცირება	(131,798)	-	(131,798)
წმინდა მოგება	-	387,561	387,561
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	53,667	721,672	775,339
კაპიტალის შემცირება	(6,290)	-	(6,290)
დივიდენდი	-	(63,158)	(63,158)
წმინდა მოგება	-	595,519	595,519
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	47,377	1,254,033	1,301,410

3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	2-8
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

4.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ შემოსავალი უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან

მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-12-20	31-12-19	31-12-18
ნაღდი ფული საღაროში	36,594	12,506	11,024
ფული საბანკო ანგარიშებზე	582,333	291,637	110,631
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	618,927	304,143	121,655

6. მარაგები

	31-12-20	31-12-19	31-12-18
ნედლეული და მასალები	1,568,468	1,155,780	540,651
მზა პროდუქცია	73,444	125,806	4,234
სულ მარაგები	1,641,912	1,281,586	544,885

7. ძირითადი საშუალებები

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	25,546	8,053	33,599
ოფისის აღჭურვილობა	365	3,490	3,855
სატრანსპორტო საშუალებები	-	30,400	30,400
სულ	25,911	41,943	67,854

დაგროვილი ცვეთა	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარების ცვეთა	2,361	6,489	8,850
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	227	373	600
სატრანსპორტო საშუალების ცვეთა	-	1,630	1,630
სულ	2,588	8,492	11,080

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	4,291	21,255	25,546
ოფისის აღჭურვილობა	365	-	365
სულ	4,656	21,255	25,911

დაგროვილი ცვეთა	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარების ცვეთა	833	1,528	2,361
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	154	73	227
სულ	987	1,601	2,588

8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები შედგება ძირითადად ნედლეულის მომწოდებელი კომპანიების დავალიანებებისგან.

9. საწესდებო კაპიტალი

2019 წელს მოხდა დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალის შემცირება 6,290 ლარის ოდენობით. 2020 წელს კი საწესდებო კაპიტალი შემცირდა 14,663 ლარით.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის ცხოველების საკვების რეალიზაცია. 2020 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავალი, რაც ძირითადად განპირობებული იყო კომპანიის ბრენდის ბაზარზე ცნობადობის ამაღლებით.

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია ახდენს ნედლეულის იმპორტს, რის შემდეგაც ხდება ნედლეულის გადამუშავება და ცხოველების საკვები პროდუქტების წარმოება. წარმოება ხორციელდება როგორც საკუთარი ძალებით ასევე ქვეკონტრაქტორი კომპანიის დახმარებით. აღნიშნული ნედლეულის ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2019 წელს მენეჯმენტის კომპენსაციამ შეადგინა 7,500 ლარი, ხოლო 2020 წელს 8,621 ლარი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.